როჯერ ზელაზნი

ანარეკლების რაინდი

ამბერის ქრონიკები

წიგნი 9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015

“Knight of Shadows” Roger Zelazny
„ანარეკლების რაინდი“ როჯერ ზელაზნი

მთარგმნელი: დავით ახალაძე
რედაქტორი: ანდრო ბუაჩიძე
დაკაბადონება: სოფიო კევლიშვილი

FUNDED THROUGH THE BOOK TRANSLATION PROGRAM,
U.S. EMBASSY IN GEORGIA
დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ს საელჩოს წიგნების
თარგმნის პროგრამის ფარგლებში

Copyright © 1989 by Roger Zelazny, renewed 2003 by Amber Ltd.Co.
Published by agreement with the author and Amber Ltd.Co.

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2015 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-229-7

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

თავი პირველი

მას ჯულია ერქვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ოცდაათ აპრილს — სწორედ იმ დღეს დაიღუპა, როდესაც ეს ამბები დაიწყო. მაშინ მის დაგლეჯილ გვამს გადავაწყდი და ძაღლის მსგავსი არსება მოვკალი — ჩემი სატრფოს მკვლელად ის მივიჩნიე. ჰო, ჯულია ჩემი სატრფო იყო და სიმართლე გითხრათ, მგონია, ამ შარში ბევრად უფრო ადრე — მისი გაცნობის დღიდან გავეხვიე.

ალბათ უფრო მეტი ნდობა უნდა გამომეჩინა მის მიმართ. ალბათ არ უნდა წამეყვანა ანარეკლებში სასეირნოდ. ჯულია სწორედ ამ გასეირნების შემდეგ გამიუცხოვდა და ამის მერე დაადგა იმ მოლიპულ გზას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ერთი საძაგელი ოკულტისტის, ვიქტორ მელმანის სტუდიაში მიიყვანა — იმ მელმანისა, რომელიც ჯასრამ და ლუკმა მომიქსიეს და მომაკვლევინეს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, უკვე ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ ჩემი თავისთვის შემეძლო მეპატიებინა ყველაფერი, რაც ბოლო დროს ჩავიდინე, რადგან სინამდვილეში არც არაფერი ჩამიდენია. თითქმის არაფერი.

მოკლედ, გაირკვა, რომ ჩადენილში დამნაშავე არ ვყოფილვარ. როდესაც დანა გავუყარე ნიღბიან ჯადოქარს — რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მყავდა გადაკიდებული — აღმოვაჩინე, რომ სინამდვილეში ის ჯულია იყო. მერე დაჭრილი ჯულია ჩემმა ნახევარძმამ და უძველესმა მტერმა — იურტმა ხელში აიტაცა და ორივენი ერთად გაუჩინარდნენ.

თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი, რადგან ოთხი სამყაროს

ციხესიმაგრემ ნგრევა იწყო. უეცრად ჭერიდან უზარმაზარი ალმოდებული კოჭი ჩამოვარდა და ცეცხლოვან ხაფანგში მიმიმწყვდია კედელთან. მერე გვერდით მუქი ფერის ლითონის ბურთმა ჩამიქროლა, თანდათან გაიზარდა და კედელს ისეთი ალით დაეჯახა, რომ ვეებერთელა ხვრელი დატოვა. დრო აღარ დამიკარგავს და მეც სასწრაფოდ გავძვერი ხვრელში. გარეთ რომ აღმოვჩნდი, თხრილს გადავახტი, ლოგრუსის საცეცებით გზიდან ერთი-ორი დაბრკოლება და რამდენიმე მეციხოვნე ჩამოვიშორე და უკან გავძახე:

— მანდორ!

— აქ ვარ, — მომესმა მარცხნიდან მისი მშვიდი ხმა.

მოვიხედე და დავინახე, როგორ დაიჭირა ლითონის ბურთი, რომელმაც ერთხელ კიდევ გაინავარდა ჩვენ წინ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუხტა ხელში.

მანდორმა თავისი მუქი ტანსაცმლიდან ფერფლი ჩამოიბერტყა და თმა გაისწორა. მერე კი გამიღიმა, ცეცხლში გახვეულ ციხესიმაგრეს გახედა და მითხრა:

— დედოფალს რასაც დაჰპირდი, შეასრულე. მგონი, აქ აღარაფერი გვესაქმება. წავიდეთ?

— ჯასრა კვლავ იქაა, — მივუგე მე, — შარუს ეჩხუბება.

— მეგონა, აღარ გჭირდებოდა.

თავი გავიქნიე:

— მან ბევრი ისეთი რამ იცის, რაც ჩემთვის უცნობია. ბევრი ისეთი რამ, რაც შეიძლება გამომადგეს.

ციხესიმაგრის თავზე ცეცხლოვანი სვეტი წამოიმართა, წამით გაშეშდა და ზრდა განაგრძო.

— მაგაზე აღარ დავფიქრებულვარ, — მითხრა მან-

დორმა, — როგორც ჩანს, ძალიან უნდა ამ შადრევნის დამორჩილება. ჯასრას ციხესიმაგრიდან თუ გამოვიყვანთ, შადრევანი შარუს დარჩება. მითხარი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს?

— თუ არ გამოვიყვანთ, შარუმ შეიძლება მოკლას.

მანდორმა მხრები აიჩეჩა:

— მე კი რატომღაც მგონია, რომ ჯასრა აჯობებს. გინდა დავნაძლევდეთ?

— შეიძლება მართალი ხარ, — მივუგე და ცისკენ აღმავალ შადრევანს გავხედე, — ნავთობის შადრევანივით არაა? — ვუთხარი, როდესაც სვეტმა წამით კვლავ შეწყვიტა ზრდა, — იმედია, გამარჯვებული შეძლებს მის გადაკეტვას... თუკი ამ ჯოჯოხეთში ვინმემ გაიმარჯვა. ციხესიმაგრე რომ დაინგრევა, ვერავინ გადარჩება.

მანდორს გაეცინა:

— მგონი გავიწყდება, რა ძალებს მოუხმო ორივემ თავის დასაცავად. თავადაც კარგად იცი, რა ძნელია ჯადოქრისთვის სხვა ჯადოქრის შელოცვებით მოკვლა. თუმცა მიწიერი საგნების ინერციასთან დაკავშირებით შეიძლება არც ცდებოდე. თუ ნებას მომცემ...

თავი დავუქნიე.

მანდორმა ხელი სწრაფად გაიქნია და დავინახე, როგორ გადაევლო ლითონის ბურთულა თხრილს და როგორ გაქანდა ხტუნვა-ხტუნვით ციხისკენ. თანაც ყოველი ახტომის შემდეგ ზომაში იზრდებოდა და თავისი ზომისა და წონისთვის შეუფერებელ გუგუნს გამოსცემდა. ბურთი ცეცხლმოდებულ ნანგრევებში შეფრინდა და წამით თვალს მიეფარა.

ის იყო დავაპირე მეკითხა, რა ხდება-მეთქი, რომ შენანგრევში, საიდანაც წეღან გარეთ გამოვაღწიეთ, დიდმა ბურთმა გაიელვა. ხანძარი თანდათან მინელდა. მხოლოდ ციხიდან ამოწვდილი ცეცხლოვანი სვეტიღა დარჩა. საიდანღაც გრუხუნი მოისმა. რამდენიმე წამის შემდეგ ნაპრალში კიდევ უფრო დიდმა ბურთმა გაიელვა. ტერფებით ვიგრძენი, როგორ აზანზარდა მიწა.

მალე ერთი კედელი ჩამოინგრა. ცოტა ხანში მეორეც მიჰყვა და ციხის შიგნით, მტვერსა და ბოლში უზარმაზარი ბურთი დავინახეთ. ცეცხლი აღარსად ჩანდა. ლოგრუსის სახედველით კვლავ ვხედავდი მანათობელ ხაზებს, რომლებითაც ჯასრა და შარუ იყვნენ ურთიერთგადაჭდობილნი.

მანდორმა ხელი გაიშვირა. ცოტა ხანში ხტუნვით მოგვიახლოვდა პატარა ბურთულა და მანდორის ხელისგულზე დასკუპდა.

— წამო, შევბრუნდეთ, — მითხრა, — სირცხვილია, დასასრული რომ არ ვნახოთ.

გალავანში გაჩენილი უამრავი ნაპრალიდან ერთერთისკენ გავეშურეთ. იმ ადგილას თხრილი ჩამორღვეული კედლის ქვებით ამოვსებულიყო და მეორე მხარეს გადასვლა არ გაგვძნელებია. ერთი შელოცვა იმაში დავხარჯე, რომ ხელახლა შეკრებილი და გონზე მოსული მეციხოვნეებისთვის მოახლოების საშუალება არ მიმეცა.

ციხესიმაგრეში შესულებმა ცეცხლოვან სვეტთან ცისკენ ხელებაღმართული ჯასრა დავინახეთ. გამურულ სახეზე ჩამოღვრილი ოფლისგან სახე აჭრელებოდა. ვიგრძენი, როგორ ფეთქავდა მასში მაგიური ენერგია. ათიოდე ფუტის მოშორებით ჰაერში შარუ გამოკიდებულიყო. სახე

აჭარხლებოდა და თავი ისე მოგრეხოდა, თითქოს კისერი მოიტეხაო. გამოუცდელ ადამიანს ეგონებოდა, დაფრინავსო. მე კი ლოგრუსმა დამანახა, რომ ის უბედური უხილავ საბელზე ეკიდა.

— ბრავო! — ჩაილაპარაკა მანდორმა და ნელა დაუკრა ტაში, — ხედავ, მერლინ? რომ დავნაძლევებულიყავით მე მოვიგებდი.

— შენ ყოველთვის მჯობნიდი ნიჭისა და უნარის შეფასებაში.

— ...და შემომფიცე, რომ ერთგულად მემსახურები! — მოგვესმა ჯასრას სიტყვები.

— ვფიცავ, ერთგულად გემსახურო, — ჩაიჩურჩულა შარუმ.

ჯასრამ მკლავები ჩამოსწია და როდესაც უხილავი საბელი გაიწელა და შარუ ციხის დაბზარული იატაკისკენ დაეშვა, მარცხენა ხელი დირიჟორივით გაიქნია. უეცრად შადრევანს ცეცხლოვანი გუნდა მოსწყდა. ცეცხლი შარუს თავზე დაეცა, ტანზე ჩამოეღვენთა და იატაკში გაჟონა. სანახაობა მეტად შთამბეჭდავი იყო, თუმცა მისი აზრი ჩემთვის გაუგებარი დარჩა.

შარუ კი ანკესზე ჩამოცმული სატყუარასავით ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს — როდესაც მისი ტერფები იატაკს შეეხო, შვებით ამოვისუნთქე — ყელზე წაჭერილი თოკი მოეშვება-მეთქი. მაგრამ ნურას უკაცრავად: ის იატაკში ჩაიძირა და დაშვება განაგრძო, თითქოს ხორციელი ადამიანი კი არა, ჰოლოგრამა ყოფილიყოს.

შარუ სულ უფრო და უფრო ეფლობოდა მიწაში. ვერ გაიგებდი, სუნთქავდა თუ არა. ჯასრა კი რაღაც შელოცვებს

გაიძახოდა და მისი მსხვერპლის თავზე კვლავაც და კვლავაც ცვიოდა შადრევნიდან ცეცხლოვანი გუნდები.

მალე საბრალო შარუ წელამდე, მერე კი მხრებამდე ჩაიმარხა და მიწის ზედაპირზე მხოლოდ თავიღა დარჩა ამოშვერილი. თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ სადღაც სივრცეში იცქირებოდა უაზროდ.

— ამიერიდან, ამ წყაროს მცველი იქნები, — უთხრა ჯასრამ, — და მხოლოდ მე დამემორჩილები. აღიარებ ამას?

შარუს გალურჯებული ტუჩები მოეღრიცა:

— ვაღიარებ, — ჩაიჩურჩულა მან.

— ახლა კი წადი და ცეცხლი შეაგროვე, — უბრძანა ჯასრამ, — შეუდექი საქმეს!

შარუმ ძლივს შესამჩნევად დაუქნია თავი და ჩაფლობა განაგრძო. რამდენიმე წამში იატაკზე მხოლოდ მისი ქოჩორიღა ჩანდა, მალე კი ისიც გაქრა.

ჩავახველე. ჯასრამ ხელები ჩამოუშვა და ოდნავ მოღიმარი სახით მოგვიტრიალდა.

— ცოცხალია თუ მკვდარი? — ვიკითხე და სასწრაფოდ დავძინე, — უბრალოდ მაინტერესებს.

— რა გითხრა, არ ვიცი, — მიპასუხა ჯასრამ, — მგონი თან ცოცხალია და თანაც მკვდარი. ყველანი ასე არა ვართ?

— წყაროს მცველი, — ჩაფიქრებულმა ჩავილაპარაკე, — საინტერესო სამუშაო უნდა იყოს.

— საკიდად ყოფნას მაინც ეს სჯობია, — მომიგო ჯასრამ.

— ეგეც მართალია.

— ალბათ გგონია, რომ გამოღვიძებისა და სამფლობელოს დაბრუნებისთვის შენი მადლიერი უნდა ვიყო.

მხრები ავიჩეჩე.

— სიმართლე გითხრათ, ახლა სხვა რამეები უფრო მადარდებს.

— შენ ჩვენი მტრობის დასრულებაზე ოცნებობდი, მე კი ციხის დაბრუნება მინდოდა. ამბერი გულზე კვლავაც არ მეხატება, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბარიბარში ვართ.

— კარგი, ყაიმზე მეც თანახმა ვარ. მით უფრო, რომ საერთო საზრუნავი გვაქვს.

ჯასრამ თვალები მოჭუტა და ყურადღებით შემათვალიერა. მერე კი გამიღიმა და მითხრა:

— ლუკზე ნუ დარდობ.

— აბა რა ვქნა? ეს არამზადა დალტი...

ჯასრას სახიდან ღიმილი არ მოშორებია.

— რაღაც ისეთი იცით, რაც ჩემთვის უცნობია? — ვკითხე შეცბუნებულმა.

— კი, უამრავი რამ.

— იქნებ მეც გამიზიაროთ თქვენი ცოდნა.

— ცოდნა ძვირადღირებული საქონელია, — მომიგო ჯასრამ.

უეცრად მიწა შეზანზარდა, ცეცხლოვანი სვეტი კი შეირხა.

— თუ გინდათ, თქვენს შვილს დავეხმარო, გამაგებინეთ, რა ხდება და საქმეს საიდან მივუდგე.

ჯასრას გაეცინა:

— რინალდო საფრთხეში რომ მეგულებოდეს, ახლა მის გვერდით ვიქნებოდი. ალბათ გგონია, უფრო გაგიადვილდება ჩემი შეძულება, თუ იფიქრებ, რომ დედობრივი გრძნობები არ გამაჩნია.

— ჰეი, მგონი წეღან დავზავდით! — ვუთხარი გულმოსულმა.

— ზავი სიძულვილს ხელს არ უშლის, — მომიგო ჯასრამ.

— მისმინეთ ქალბატონო, თქვენთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წლების განმავლობაში ჩემს მოკვლას ცდილობდით. ისე მოხდა, რომ ჩემთვის ძვირფასი და პატივსაცემი ადამიანის დედა აღმოჩნდით და მის დასახმარებლად მზად ვარ, თქვენთანაც კარგი ურთიერთობა დავამყარო.

ცეცხლის ალმა ათიოდე ფუტით დაიწია, წამით შეჩერდა, შეკრთა და კიდევ უფრო იკლო.

მანდორმა ჩაახველა და გვითხრა:

— დღევანდელმა ჯაფამ მადა თუ მოგგვარათ ერთი-ორი შელოცვით კაი სუფრას გავშლი.

ჯასრამ კეკლუცად გაუღიმა — თავს დავდებ, თვალიც კი ჩაუკრა. რა თქმა უნდა, მანდორს თეთრი ფაფარი ძალიან უხდებოდა, მაგრამ ლამაზი კაციაო, მასზე ვერავინ იტყოდა. ყოველთვის მიკვირდა — ამისთანა რა ნახეს მასში ქალებმა და ერთხელ შევამოწმე კიდეც, რაიმე შელოცვას ხომ არ მიმართავს-მეთქი. სულ ტყუილად: როგორც აღმოჩნდა, ეს სულ სხვაგვარი ჯადო იყო.

— შესანიშნავი აზრია, — აიტაცა ჯასრამ, — ანტურაჟზე მე ვიზრუნებ და დანარჩენს თქვენ მიხედეთ.

მანდორმა თავი დაუკრა; ცეცხლის ალმა კიდევ უფრო მოიკლო და ბოლოს მიწაში ჩაჟონა. ჯასრამ უხილავ მცველს, შარუს ჩასძახა, ცეცხლს მიმიხედეო, და ქვემოთ ჩამავალი კიბისკენ გაგვიძღვა.